



## ବେଳିଫର୍ମାଲ ପାତ୍ରାବ୍ଦୀ

# საერთო ურნალი

# ԱՐԵՎԱՏՅԱՆ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପାଠ ।

No 19

ଶୁଣାଏବେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

3. አცხილაցე.....	სანატორუმი ქვექანა (გარვუდის თბზულებიდან). . . . .	3
გ. ნახუცროშვილი.....	ნამეჯნით ფუტის ფესვების დაჭრა.....	6
ყ. ჩხეიძე.....	ფუტის რა.....	8
ი. ქუთათელაძე.....	აბერშუმის ჰარკის და ძაფის ფასები.....	15

# სამეურნეო ჟურნალი

## მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაბეჭდით წერილები შემდეგი პირებისა: — ახოშვილი ვ., ანაზეული, ახალია ი., ბერეკშვილი გ., გულბათიშვილი ვ., გვარაშვილი გ., გორგაშვილი გ., ედილაშვილი ზ., ვაჭრიშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., გხელიძე ს., გარბელაშვილი ელ., გარალელი ვ., მაჩაბელი ა., მღვიმი ღ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიგოვი გ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე სტ. ვ., რცხილაძე სტ. გ., ფურცელაძე ი., ფალავანიშვილი ღ., ქუთაელაძე ი., ქათაშვილი მ., ქარცივაძე ვ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხალაძე გ., ჩენდაძე ს., შავლიევი პ., ჯანაშვილი შ., ჯიქალი, გახლი მევენახე, სემიონვი ექიმი.

რედაქტორი მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

### თანამშრომელთა საზურადლებო.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორის შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექციონები, რომელიც არ დაბეჭდებიან, არც შეინახებიან დააბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოჩენის „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინებისა და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექნარაღებაში.

ანცხადებები დაბეჭდება მხოლოდ უკანასკან გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლის თან შაური.

წლიური აბონექტერებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთვის შეთანხმებით.

რედაქტორი უურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ დაშატება-ბროშურას მეურნეობის რამელიმე დარგის შესახებ.

### ურნალი ფალიზადი ღირს ვ მავთი.

რედაქტორის დრუსი: თიფლის, ბარათინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცეილაძე

# სანატრელი ქვეყანა<sup>\*</sup>)

(გარეულის თხზულებიდან)

საკვირველია ღმერთმანი... ღედა-  
შიწას რომ ჩვენ დღეს ვარქმევდეთ სა-  
ხელს, იქნება „ღედობა“ კი არა „ღე-  
დინაცვლობაც“ არ გვეკადრებინა მის-  
თვის, ისე უყურადღებოთა გვაქვს იგი  
მიგდებული, თუმცა ყოველ ღრე მას  
ვტკეპნით და განუშორებელი ტვირთ-  
ნი ვართ მისი.

ჩვენს მეურნეს ფიქრადაც არ მოს-  
დის ის გაცხარებული მუშაობა, რო-  
მელსაც ეწევიან ნიადაგის სიბნელეში  
იქ მცხოვრები მრავალთაგან მრავალი  
თვალთუჩინარი (მიკროსკოპიული) არ-  
სებანი, რომ მეურნის მიერ დათესილ  
პურ-ქერ-სიმინდისათვის საკმაო საზრ-  
დო დაამზადონ.

სანატრელ ქვეყანის მეურნესათვი-  
საც ამ ორი-სამი თაობის წინ ნიადაგი  
ესეთივე დაკეცილი წიგნი იყო. უფრო  
მეტი სიბნელით არის მოცული იგი  
დღესაც მოვლი ოლქა ხალხისათვის,  
რომელიც ქალაქ ადგილებში იბადება  
და სცხოვრობს.

ყველა უვიცთათვის ნიადაგი ეხლაც  
იგივეა რაც წინად ყოფილა, როდესაც  
ველური კაცის ფეხ-ქვეშ ითელებოდა  
და შემდეგ ჩვენ წინაპართ უხნავთ უბა-  
რავთ.

მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ნა-  
ხევარში ითქვა პირველად, რომ „გან-  
ვითარებული მეურნეობა შეადგენს  
ნამდვილ მკვიდრ საფუძველს აღებ-მი-

ცემობისას და მრეწველობისას—იგია  
წყარო ხალხთა სიმდიდრისა“.

ეს ბრძნული სიტყვა, თქმული სახე-  
ლოვან ქიმიკოს ლიბისისაგან, ყველა-  
ზე უკეთესად სანატრელ ქვეყნის მე-  
ურნებს აქვთ დღეს შეგნებული და  
საქმითაც დამტკიცებული. ამ შეგნე-  
ბაში პირველი ადგილი უჭირავს ნია-  
დაგის გამოკვლევა—შესწავლას, რაც  
ამერიკელების აზრით ყოველგვარ სწავ-  
ლის დასაწყისს უნდა შეადგენდეს ნა-  
მეტნავად მეურნეობაში.

თანაბედ ამ შესედულებისა მეურ-  
ნეობის განვითარების გაძლიერება ამე-  
რიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო  
იმითი, რომ ბუნების მეტყველების ყვე-  
ლა დარგის წარმომადგენელი მსწავ-  
ლულები—ქიმიკები, ბაქტერიოლო-  
გები, გეოლოგები, აგრონომები ჯერ  
ნიადაგის გამოკვლევასა და შესწავლას  
მიესინენ.

ერთ მშვენიერ დილას ძველებური  
მეურნე ხედავს რომ ვიღაც უცნობი  
მიაბოტებს იმათ მინდვრებზე, რამ-  
დენიმე ალაგას იღებს ნიადაგის ნიმუ-  
შებს, ურევს ამ ნიმუშებს ერთმანეთში  
და ამ ნარევიდან რამოდენიმე ნაწილი  
ხელცახოცში გამოკრული მიაქვს შინ.  
არაფერს არ კითხულობს ეს დალო-  
ცვილი არც იმის შესახებ თუ რომე-  
ლი ნიადაგი რამდენად ნოყიერია, ან  
რა ნიშნებით უნდა ამოიცნოს ეს სი-  
ნოყიერე, ან რომელი იარაღებით იყო  
დამუშავებული უკვე ჩაკლებული მო-

<sup>\*</sup>) იხილე „მოსაფალი“ № 17.

სავლის მისაღებად და სხვ... ყველა ეს მეტად მიაჩინა მას. იგი მხოლოდ აღებულ ნიმუშს იკვლევს ფიზიკურად, ქიმიურად და ამ გამოკვლევაზე დამყარებით აძლევს ძველებურ მეურნეს ამათუ იმ რჩევას უკეთესი მოსავლის მისაღებათ. ასეთი გამოკვლევით ამ ახალი დროის კაცს შეუძლიან უთხრას ძველებურ მეურნეს, რა-და-რა. აკლია იმის ნიადაგს, რა არის შიგ ზედმეტად და რა ნაირი დამუშავება სჭირია საზოგადოდ, რომ უკეთესი მოსავალი მოჰკვაროს.

ეს ახალი მკვლევარი ავსებს სათო-თესოდენა მასრას (გრამი) ნიადაგის ნიმუშით და მერე სთვლის რამდენი ნაწილისაგან შესდგება იგი. ამ ანგარიშით მას გამოჰყავს, რომ ერთი კუბიკური ფუტი შუათანა ნიადაგისა, რომელიც ასაზრდოებს მცენარის ფესვებს, შეიცავს იმდენ ნაწილს, რამდენიც ეყოფა სამი ქცევა\*) მიწის ზედაპირის შედგენას, რომ ნაწილები იგი ერთიერთმანეთზე მიტკუცული დავეწყო რიგზე.

მეცნიერ მკვლევარს ზოგჯერ პირდაპირ შეუძლიან სთქვას, რამდენი ბილიონი ნაწილი ნიადაგისა უნდა ჩაეტიოს იმის პატარა სათითესოდენა მასრაში (გრამი), რომ ამა თუ იმ მცენარემ იხაროს ამ ნიადაგში და კარგი მოსავალიც მოგვცეს.

ისეთი ადგილი, სადაც ერთ გრამ ნიადაგში 1700 მილიონზე ნაკლები ნაწილი ითვლება, მეურნემ სჯობია დასტოვოს და საცხოვრებელი ბინა სხვაგან მოძებნოს.

რომ ივიღოთ ორი ნიმუში — ერთი შავი ნოუიერი მიწისა, რომელიც მშვე-

ნიერ პურის მოსავალს გამოფიტული აღიალიდან, სადაც ორავითარი მცენარე არა ხარობს, დავყაროთ ეს ნიმუშები თხლად ცალკ-ცალკე შუშაზე და გავშინ ჯოთ მიკროსკოპით, ვნახავთ — რომ პირველი ნიმუში შესდგება გამტვერებული ნაწილებისაგან, რომელთაც ეგრედ-წოდებული გუმუსი ურევია ბლომად, მეორე ნიმუში კი — ალმასისაგბრ ბჟყვრიალია, დაბირულ-დაკუთხულ კაჟი ქვისა და თავვ-მარილას მსხვილი ნაწილებისაგან არის შემდგარი, რომელიც განცალკევებულნი ყრიან ლოდების მზგავსად ერთიერთმანეთიდან კარგა მანძილზე დაშორებით.

პირველი ნიმუშის ნაწილები მჭიდროდ შეკრილან ერთად და წარმოადგენენ სინოყვრით გაბარაქიან ებულ ნიადაგს, რომელიც აუარებელ სიმღილედ უნდა ითვლებოდეს როგორც კერძო პირისათვის ისე მთელი სახელმწიფოსათვის.

მეორე ნიმუში კი, თუ მას სასუქით არ იმოქვესო ნაწილებ შორის დარჩენილი ფარლალალები, უვარებისად უნდა ჩაითვალოს, რაღაც ესეთი დაცხავებული ნიადაგი ვერც წყალს დაიმაგრებს მცენარისათვის საჭმარისს და ვერც ფესვებისა და მის საწოვრების უგაბმაგალართხვას უწყობს ხელს, რომ მცენარე არ დაიმშეს.

მცენარის გამოსაკვებად ყველაზე მეტად წყალია საჭირო. გამოანგარიშებულია მაგალითად რომ სამყურა ბალაბის ან კართოფილის საშუალო მოსავლის მისაღებად, თითო ქცევაზე სულ რო ნაკლებ 400 ტონა ანუ 20000 ფუთი წყალია საჭირო; თითოეულ ქცევა პურს, ან ქერს, ან შვრისა სჭირდება 375 ტონა წყალი; ერთ ქცევა

\*) ერთი ქცევა შეადგენს 900 კვ. საჟ.

სიმინდს — 300 ტონა; მხე-უჭვრიტეს ერთ ქცევა მიწაზე უნდება 6000 ტონა ანუ 12 მილიონი გირვანქა წყალი. ჩვეულებრივი მინდვრის მოსავალი თითო გირვანქა ხმელი ნივთიერების გასაზრდელად 300 გირვანქა წყალსა ხარჯავს დაახლოებით. ერთი ინგლისელის გამოკვლევით ყოველ 125 ფუთი ხორბლის მისაღებად 32500 ფუთი წყალია საჭირო.

ეს ამოდენა წყლის ხარჯვა მცენარის მიერ დიდად საყურადღებო მოვლენას შეაღენს ბუნებაში. მხოლოდ მცირედი ნაწილი ამ წყლისა იშრობა თვით ნიაღაგით ან აიროთქლება ნიაღაგიდან პირდაპირ მაღლა ჰაერში, უმცირესი ნაწილი კი მცენარეში შედის, ადის ფოთლებში და აქედან, გარდა რაოდენიმე ნაწილისა, რომელიც თვით მცენარეს უნდება, აორთქლებით გადადის მთლად ჰაერში.

შრალი ქარი ზოგჯერ პირწმინდად ანადგურებს ხოლმე მთელ მოსავალს იმიტომ, რომ მცენარე ქარის მიზეზით უფრო მეტ წყალს ჰყარგავს ფოთლებიდან აორთლებით, ვიდრე ნიაღაგიდან იღებს ფესვებით. შეერთებულ შტატებს ამ უკანისკნელ წლებში თითქმის 70 მილიონი დოლარის ხელოვნური სასუკები დაუხარჯავთ მაწების გაპონიერებაზე. ასე რომ მოქცეულიყვნენ კვლავაც, მარტო ერთი თაობა მეურნეებისა ბილიონ ნახევარზე მეტ დოლარს დახარჯავდა მიწების დამსუქნებაზე. ამიტომ ნიაღაგების ზედმიწევნით შესწავლის ერთი მიზანთაგანი სწორედ ის იყო, რომ ამ შესწავლით ნიაღაგის მოვლა-დამუშავება იაფად დაესვათ და ეს ამოდენა ხარჯი სასუკების შეძენაზე თავიდან აეცილებინათ.

დედამიწის კანი თითქმის უმდიდრესი ნივთიერებისაგან არის შემდგარი. მცენარეების საკვებავებად აქედან მხოლოდ თორმეტი ნივთიერება იხმარება, რომელთა შორის აუცილებელ საკვებავებს ეკუთვნიან მარტო: აზოტი, ფოსტორი, კალი და კალცი. თუ ბოლომდე მომყვებით და მოსურვებოთ გაიგოთ ამ ოთხში რომელიმაა უმთავრესი, მოგახსენებთ რომ ყველაზე უსაჭიროესი, რომლის მაგიერობას სხვა ვერაფერი ვერ გაუწევს მცენარეს, ეს აზოტი გახლავთ. ჩვეულებრივ ზომაზე ცოტათი მაინც რომ დააკლდეს აზოტი ნიაღაგს, მაშინვე მცენარეები ყურებს ჩამოჰყრიან ხოლმე და სუსტდებიან.

ერთი სტოლის კოვზი შავი მიწა რომ ავილოთ და გავაცხელოთ ღონიერ ცეცხლზე, ვნახავთ რომ მიწას თავისი მოშაო ფერი თანდათან ნაცრის ფერზე შეეცვლება და ბოლოს მოწითალო მტკრად გადაიქცევა. მიკროსკოპით რომ გავშინჯოთ ეს მტვერი, მას აღარავერი მიმზგავსება აღარ ექნება იმასთან, რაც პირველად ავილოთ. აღარ იქნებიან ის მოშაო ფერის ნაწილები, რომელსაც სიცოცხლის საიდუმლო უნარი ჰქონდათ ჩამალული. უპირველესად ყოვლისა ამ ნივთიერებებიდან გაქრება აზოტი, ურომლისოდაც სიცოცხლე შეუძლებელია.

ერთ მეცნიერს გამოუანგარუნია იმის დასამტკიცებლად თუ რა მნიშვნელობა აქვს მცენარეების მორიგეობით თესვას, რომ თითო ქცევა ნიაღაგს, რომელზედაც ყოველ წელს პურსა სთესავდნენ, ხუთი წლის განმავლობაში ას-სამოცდა თერთმეტი გირვანქა აზოტი დაუკარგავს, როდესაც რომ მეორე ნია-

დაგს, სადაც პურის გარდა კიდევ სხვა მცენარეებიც ითესებოდნენ ჯერ-ჯერით, იშოდენავე ხნის განმავლობაში აზოტი არამც თუ არ დაკლებია, პირიქით კიდევაც უმატნია 60 გირვანქით თითოეულ ქცევაზე.

ნიადაგების შესწავლა, გარდა მათი ქიმიური გამოკვლევისა კიდევ სხვა გზითაც ხდება.

ეს გზა არის ცდა. აიღებენ გამოსაცდელ ნიადაგიდან პატარა ნიმუშს, გარეცხენ რამდენჯერმე, მერე გადაავლებენ რომელიმე ცხარე სიმძავეს და კიდევ გარეცხავენ წყალით კარგად. ასეთი გარეცხვით რაც სინოუზრე აქვს ნიადაგს მცენარისათვის გამოსაცდები სულ გამოსცილდება, ან მოკვდება შიგ და ნიადაგი იგი მცენარისათვის სრულიად უსარგებლო შეიქმნება. შემდეგ რომელიმე მცენარის თესლს გააღვიერენ ან წყალში ან, გარეცხილგასუფთავებულ ქვიშაში და გადარგვენ იმ გამოფიტულ ნიადაგში. ცხადია რომ ეს პატარა მცენარე ვერ იხერებს აქ და მალე გახმება, თუ დახმა-

რება არ მიეცა საიდანმე. არ ცილინდრუ აქედან იწყობა დიდად საინტერისო მოვლენა.

ამ დამშეულ მცენარეს მკვლევარი ხან ერთ საკვებავს იძლევს, ხან მეორეს და სწრას რომელი საკვებავი როგორ მოქმედობს მასზე. სიცოცხლის შემნატვრელი ეს პატარა არსება სრულებით ხელში ჰყავს ჩაგდებული ცდის გამკეთებელს. თუნდა დაავშევს, გაახდენს, სიკვდილამდე მიიყვანს, თუნდა გააძლობს-გაახარებს და მერე ისევ მოაშევს-დაალონებს, რომ ყოველი თვისება მისი, როდის რა არგებს, ან რა აწყენს, ყველა უკლებლივ გაიგოს შემდეგისათვის გამოსაყენებლად. მკვლევარი სრული მბძანებელი ხდება ამ მოზარდ მცენარისა, რომელსაც მორჩილების მეტი სხვა არა დარჩენია-რა.

ოლონდაც რომ დიდ სიამაყეს უნდა გრძნობდეს ამ ცდის მაყურებელი ადამიანი, როცა სიცოცხლის ასეთ დამორჩილებას ხედავს მეცნიერებისაგან.

### ვ. რცხილაძე

## ნამუენი ვაზის ფესვების დაჭრა

უურნალ „მოსავალი“-ს წლევანდელ მე-5, 6 და 10 №№-ში ჩემი წერილი იყო მოთავსებული, რომელშიაც მე ვსწერდი საზოგადოდ ნამუენის გაკეთებაზე და იმის მოვლა-მოშენებაზე. იმავე წერილში მოკლედ შევვხე ფესვებ დაჭრილ ნამუენის დარგვას, მაგრამ რადგან ეს საქმე მაშინ ჩემთვინაც ნაკლებათ იყო გამოკვლეული, ამიტომ მკითხველს ამ საგნის შესახებ გადაწყვეტით არა უთხარი-რა; მხოლოდ დავპირდი, რომ ჩემი ცდის შედეგს შემოდგო-

მაზე შევატყობინებთ მეთქი. საბეჭნიეროდ ცდაშ იმედი არ გამიმტყუნა და ამისათვის ვეშურები ეხლა უფრო მეტის რწმენით და გაბედულობით მოველაპარაკო ჩემ მკითხველს.

შარშან შემოდგომაზე ატენის გამულში საკუთარი სანერგიდან ამოღებული ნამუენი ვაზები გადავარჩიე თრთარისხად: ლონიცრი და კარგად შედულებული ძირები ცალკე, სუსტი და ნაკლებად შეხორცებული კიდე ცალკე-კველა ესენი გაზაფხულამდის მიწაში მქონდა შენახული.



გაზიფხულზე, როდესაც მიწა საკ-  
მაღდ გათბა, შევუდექი დარგვას. პირ-  
ველ ხარისხის ძირებს რიცხვით 900  
ცალს მხოლოდ ოდანაც წავაკვეცე ფე-  
სვების ბოლოები და დავრგე ბარით  
ამოღებულ ორმოებში ურწყავ აღგი-  
ლას.

მეორე ხარისხის 500 ძირ ნამყენებს  
კი სულ ძირში დავათალე ფესვები და  
პალოს შემწეობით დავრგე ესენიც  
ურწყავ მიწაში.

მოვლა ორივე ჯურა ვაზებს ერთ-  
ნაირი ჰქონდათ.

ყლორტები ორივემ თითქმის ერთ  
და იმავე ღროს ამოიტანეს, მხოლოდ  
უფესვოთ დარგული ვაზების ყლორტები პირველ ხანს უფრო მძიმედ იზრ-  
დებოდნენ, მაგრამ მეორე თვეში კი  
ფესვიანად დარგულ ნამყენის ყლორტებსაც გაცილებით გაუსირეს. ამნაი-  
რად ერთი შეხედულობით ფესვებ-და-  
ჭრილი ნამყენები ფესვიანებზე უკეთ  
გამოიყრებოდნენ, ესე იგი 500 ძირ  
ფესვებ-დაჭრილ ნამყენებში, ყველა  
ძირებს თამამი რქა და ფოთოლი ჰქონ-  
დათ. ბევრი ვეძებე ამ 500 ნამყენში  
ისეთი ძირი მეპოვნა რომ ფესვიანათ  
დარგულ ნამყენებზე ცოტათი მაინც  
სუსტი ყოფილიყოს. მეორე საცდელ  
ნაჭრზედაც ყველა 900 ძირ ნამყენს  
სათითაოდ შემოუარე, მაგრამ ყველა  
მათგანი პირველთან შედარებით სუსტები გამოდგნენ. ეს საბუთი მაინც არ  
კმარიდა, რომ ამით ფესვებ-დაჭრილი  
ნამყენი მექო. საჭირო იყო იმათი ფე-  
სვების გამოკვლევაც.

ამ მიზნით ავდექ და პირველსა და  
მეორე საცდელ ნაჭრებზე თითო ერთ-  
ნაირი ღონის ვაზები ავარჩიე და შევუ-  
დექ მიწიდან ამოღებას. ამ მუშაობის

ღროს თვალშინ ორი სხვადასხვა მუშაობა  
თი წარმომიდგა.

დარგულ ნამყენებს ძველი ფესვების  
წიჭრილი ბოლოებიდან ორორ-სამსამი  
სუსტი ფესვები გამოეტანათ, რომლებიც  
თავის ულონობის გამო იქვე მი-  
წის ზედაპირის ქვეშ იყვნენ გალართხუ-  
ლი. წვრილი საწოვარი ფესვებიც ნაკ-  
ლებათ ჰქონდათ გამოტანილი.

თვით ძველი დედა ფესვები, როგორც  
დარგვის ღროს დაჭყოლოდნენ მიწას,  
ისევ ისე გახლართულ - გამოხლართუ-  
ლები იყვნენ მიწაში. ამას აქ მოყვა-  
ნილ სურათზედაც შენიშნავთ.



სულ სხვა სურათი ვნახე, როდესაც  
ფესვებ დაჭრილ ნამყენს დავუშევ თხრა.  
აქ თითო ძველი ფესვების მონათალი

ადგილიდან თითო ღონისძიები ფესვი  
იყო გამოტანილი, რომელიც მიწის  
სილრმისაკენ იყვნენ წასულები. თი-  
თოეული ფესვი თავიდან ბოლომდე შე-  
მოსილი იყო წვრილი საწოვარი ფეს-  
ვებით.

სამწუხაროდ, თუმცა დიდის სიფრთ-  
ხილით ვიღებდი მიწიდან, მაგრამ მინც  
მჩავალი ფესვი დააწყდა მიწაში, მეტა-  
ლრე ფესვებ-დაჭრილ ნამყენს, რომლის  
ფესვები ძალიან ლრმად იყვნენ წასუ-  
ლი და ამიტომ ამოღება ძნელი იყო  
მეტად, ვიღრე ფესვიანად დარგული  
ნამყენისა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები  
გამოიყენება დასკვნა გამომყავს:  
ფესვინაღ დარგულ ნამყენს, ფესვები  
ეკაკვება, რისგამო გაზაფხულზე გაღვი-  
ძებულ წვენს ბევრი დაბრკოლება  
ელობება თავის სამუშაო გზაზე, ჯერ  
ურთი რმით, რომ ფესვები მოგრეხილე-  
ბია და მეორეც სამუშაო ადგილი, ესე  
იგი ფესვების ბოლოები, საიდანაც ახა-  
ლი ფესვები უნდა გამოიტანოს, და-  
შორებულია იმ ქარხანაზე—დედა ვაზზე,  
საიდანაც ეს საკვებავი წვენი გამო-  
ლის.

ამავე დროს სულ სხვა მუშაობაა გა-  
ჩაღებული ფესვების დაჭრილ ნამყენში.  
აქ საკვება წვენს სამუშაო სულ ახლო  
აქვს. ამისათვის ის მთელი თავის ენერ-  
გით აწვება ფესვების მონათალს და  
გამოაქვს სათითაო ლონიერი ფესვი,

ଓ ପାଇଁକୁ ହେଲି ଶାପଦ୍ରେଷ୍ଟି ନାମରେବୀଚ  
କାରଗାର କିମ୍ବା ମନ୍ଦିର ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ  
କାରଗାର କିମ୍ବା ମନ୍ଦିର ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ ମଧ୍ୟ

ჩემს წინა წერილში ვსწერდი, რომ  
ფესვებ-დაჭრილი ნამყენის დარგვა გა-  
ცილებით იაფადი ჯდება მეთქი. დაიღ,  
ეს სწორედ ასე გახლავთ, რადგან აქ  
ბარით ორმოების ამოლება აღარ დაგ-  
ჭირდებათ, არამედ პალოს შემწეობი-  
თაც მალე დარგავთ და ვაზის მწკრი-  
ვებიც უფრო სწორე გამოგივათ.

ერთი საუკეუდსო თვისებათგანი ფე-  
სვებ დაჭრილი ნამყენისა ის არის, რომ  
ჩვენი ვაზი და ამერიკული ძირი, თუ  
ესენი ნაკლებათ შედევებულები არიან,  
შემოდგომამდის ერთმანეთს გშვენივ-  
რად უხორცულებიან.

## ପ୍ରତିବନ୍ଧ

ና ሰጊዥ በሚገኘው የሚከተሉት የሚመለከት ስርዓት የሚያስፈልግ ይችላል

როცა მეფეზეტკრე. გაზაფხულზე სკას  
ათვალისწინებს, თუ შენიშვნა, რომ მამალი

ფუტკრებისათვის ბევრი ფიქებია დანი-  
შნულია, უნდა ამოილოს ან ამოსჭრას.

ხშირად მოხდება რომ რამდენიც უ-  
ლა ამოსჭრა, ისევ იმისთანას აკოტებენ

ფუტკრები; ამ შემთხვევაში ხელოვნული ფიქტი უნდა ჩამოუკიდოთ ჩარჩოებზე და საქმე ამით გადატდება, სკაში შემდეგ ცოტა მამალი ფუტკარი გეყოლებათ. თაფლის ამოღების დროსაც სახეში იქონიეთ: ყოველთვის ის ფიქტი, რომელნიც მამალი ფუტკრებისათვის არიან დამზადებულნი, მეტი ამოიღეთ და გაზაფხულზე შრომა აღარ დაგვირდებათ ამისათვის. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ძალიან ბევრია სამამლე ფიქტი, რაღაც ნამეტანი შემცირება უდროვოდ მამალი ფუტკრებისა უეჭველად ავნებს სკას.

### დედა ფუტკარი

დედა ფუტკარი ორივენაირ ფუტკარზე უფრო გრძელია და ფერით მოწითალო. თუმცა ისარი მას მუშა ფუტკარზე უფრო გრძელი აქვს, მაგრამ არასოდეს არ ხმარობს, თუ არ სხვა დედა ფუტკარის წინააღმდეგ. თუ მის სკაში როგორმე მეორე დედა ფუტკარი გაჩნდა, დანახვისთანავე ომს გამართავს მასთან და მხოლოდ მაშინ იხმარს თავის ისარს; კაცზე კი რამდენიც უნდა აწვალოს მან, არ ხმარობს.

დედა ფუტკარი ნიადაგ სკაში არის, ფიქტებზე ღინჯად ნელნელა, დაიარება და სდებს კვერცხებს პატარა უჯრებში, რომელთაც მუშა ფუტკრები აშენებენ, ამზადებენ და თუ ძველია, სწმენდავენ. კვერცხს დედა ფუტკარი მაშინა სდებს, როდესაც მუშა ფუტკრებს გარედან სარჩო შემოაქვთ; რაც უფრო ცოტა თაფლი, იმდენად უკლებს იგი კვერცხის დებასაც და როდესაც ყვავილები გამოილევა და თაფლს სულ ვეღარ შემოიტანენ, სულ ანგებებს თავს კვერცხის დებას. სკიდან გამო-

ფრინდება დედა ფუტკარი მხოლოდ ქორწილოდ, რომ დაიპეპლოს, როცა ახალგაზდა არის. გამოიჩინება თუ არა ახალი დედა უჯრიდან, ძველი დედა დაუთმობს მას ძველ სახლ-კარს და თვითონ ძველი ფუტკრებით აიყრბა, გამოვა სკიდან და წავა ახალი ბინის საძებნელად. ახალი დედა იგრძნობს თუ არა თავისთავს სრულ დიასახლისად, შეუდგება საქორწილოდ გამოფრენას, გასერნებას; გამოფრენილს მას თან მისდევს მთელი გუნდი მამალი ფუტკრებისა.

ი დაეშვა დედა ფუტკარი და დაჯდა ყვავილზე, უცებ მას გადაეხვია ერთი მამალი ფუტკარი და ორივენი უგრძნობლად გადმოგრძნენ ბუჩქიდან. პატარა ხნის შემდეგ დედოფალმა გარწია, მოაგლიჯა ნაწილი სხეულისა მამალ ფუტკარს, (რომელმაც იქვე დალია სული) და გაფრინდა თავის სკისაკენ. აქ, სკაში, დიდის სიხარულით შეხვდნენ ახალ დედას მუშა ფუტკრები, შემოხვივნენ გარს და დაუწყეს თავისი პატარა დინგებით ლოკვა და წმენდა. ეს ერთი დაპეპლვა მას თავის სიცოცხლეში ჰყოფნის და არ შეიძლება შემდეგ ის გამოფრინდეს სკიდან და დაიპეპლოს მეორეთ. გამოფრინდება დედა-ფუტკარი მხოლოდ მაშინ, როდესაც ფუტკარი იყრის, ესე იგი, როდესაც სკაში ფუტკარი იმდენად გამრავლდება, რომ სატევი აღარ ექმნება. ამ შემთხვევაში მუშა ფუტკრები მოამზადებენ სამეცნიერო ფიქტის განაპირობად დედა ფუტკრის გამოსაყვანან უჯრას. ეს უჯრა კოშკივით არის აშენებული, თავდაღმა დაკიდებული, რომელიც დიდათ განსხვავდება სხვა უჯრებიდან. დედა ფუტკარის გამოსაყვანი უჯრა, გარდა იმისა რომ დიდი და გრძელია, გარშემო შემორგვალებუ-

ლია და სქელკედლიანი და არა თხელი, დაკუთხული, როგორც სხვა უჯრებია. მუშა ფუტკრები, დაინახავენ თუ არა ამ უჯრაში ჩადებულ კვერცხს \*), შემოეხვევინ, ათბობენ და გამოყვანილ მატლს საუკეთესო საჭმელს უმზადებენ და აჭმევენ ხუთ დღენახევრის განმავლობაში. ამ ხანში ბარტყი გაათავებს ზრდას. ფუტკრები ახლიან თავს და გამოვა დედა ფუტკარი რვა დღენახევრის შემდეგ. ასე, 17-დღის განმავლობაში პატარა კვერცხიდან გაჩნდება დედა ფუტკარი (კვერცხიდან გამოდის ბარტყი სამი დღის განმავლობაში). გამოიჩეკება თუ არა ახალი დედა, ძველი, როგორც ზევით ვსთქვი, მაშინვე აიკრავს ბარგს, დაუტოვებს სკას თავის მოადგილეს და ძველ ფუტკრებთან ერთად გამოვა და წიგვა ახალ ბინაზე. ამას ვეძახით — ფუტკარმა იყარაო. მუშა ფუტკრის გამოყვანას უნდება 20—21 დღე, მამალი ფუტკრისას კი 24 დღე. ამ ნაირი განსხვავება ფუტკრის ზრდაში წარმოსდგება საჭმელისაგან. დედა ფუტკარს უფრო საუკეთესო მომზადებულს და ბევრ საჭმელს აძლევენ, მინამ სხვებს და ამიტომ მალე იზრდება.

თუ დედა ფუტკარი რაიმე შემთხვევით დაუპეპლავი დარჩა, იმისი კვერცხებიდან მუშა ფუტკარი აღარ გამო-

\*) გამოცდილი მეფუტკრები იმ აზრისანი არიან, რომ დედაფუტკარი თვითონ არასოდეს არა სდებს კვერცხს დედას გამოსაყვან უჯრაშიო, არამედ მუშა ფუტკრებს გადააქვთ იმაზი სხვა უჯრილ კვერცხიო. დედაფუტკარი კი, თუ მისწვდა მისთანა უჯრას, კიდევაც დაანგრევეს. ამის მიზეზია, რომ ფუტკრები სადედო უჯრას სადმე ნაპირში, ან კუთხეში, აკეთებენ, სადაც ძეგირად მოხდება დედაო, რომელსაც განგებ უმაღლავენ და ცდილობენ, რომ უკანასკნელმა არ მიაგნოსო.

ვა; ის გაამრავლებს მარტუშ მშენებლებულ ტკარს. დაპეპლილი დედა სდებს, მუშა ფუტკრის კვერცხსაც და მამლისასაც.

თუ, ვინიცობაა, სკაში უდროვოდ მოკვდა დედა ფუტკარი, მაშინ მუშა ფუტკრები ამოიჩინევენ ერთ კვერცხიან ან ახალ ბარტყიან მუშა ფუტკრის უჯრას, გაადიდებენ და აძლევენ საუკეთესო საჭმელს. დედად დანიშნული ფუტკრის ბარტყი 14 დღის განმავლობაში იზრდება ახალ დედათ. თუ ამ დღოს სკაში მამალი ფუტკარი არ ჰყავთ, შრომა ტყუილად გაუვლით.

### რაოდენ ხანს ცხოვრობს ფუტკარი

დედა ფუტკარი სცხოვრობს სამს წელიწადს; შეიძლება იცხოვროს ხუთ წელსაც, მაგრამ სამი წლის შემდეგ კვერცხის დებას უკლებს და მებუთე წელს ის სარგებლობას ვეღარ მოიტანს. ამისათვის გამოცდილი მეფუტკრე სამოითხი წლის შემდეგ უსათუოდ გამოსცვლის ძველ დედას. მუშა ფუტკარი კი ერთ წელსაც ვერ სცხოვრობს. ეს იმიტომ კი არა, რომ მას მეტი სიცოცხლე არ შეეძლოს. ის თითქმის დედაფუტკრის ოდენს იცოცხლებს, რომ სხვადასხვა მტერი არ უმოკლებდეს დღეს. მას ბევრი მტერი ჰყავს და ღალის აღების ღროს უანგარიშო ფუტკარი იყარგება ჩიტების, ობობების და ცუდი ამინდის წყალობით. როდესაც წიფობელა გაუჩნდება, ის ხომ სულ მუსრს ადენს, თუ სკის ახლო მიეჩვია, სულ აღარ გაუშვებს სკიდან გამოფრენილ ფუტკარს უკან. გაზაფხულის ფუტკარი შემოდგომამდის ძნელად მიატანს ხოლმე. ჩვენში გაზაფხულზე ძალიან ცოტა ფუტკარი რჩება სკაში, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ რუსეთ-

ში ბლომად გამოდის გაზაფხულზე, თუ სიცივით არ დაიხოცა. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ჩვენში ფუტკარი ზამთარშიაც დაფრინავს მინდვრად ღალისათვის, მშიერი ფრინველების მსხვერპლი ხდება; რასეთში კი მთელი ზამთარი დაკეტილ სადგომებში არის და გამოიყვანენ იქიდან მხოლოდ გაზაფხულზე, როცა დათბება

### როგორ ეხმარება მეფუტკა უდედო სკას.

გაზაფხულზე, როდესაც დათბება და ფუტკრები თაფლს, უფრო ყვავილების მტვერს, დაუწყებენ ზიდვას, მეფუტკრებ კარგ თბილ დღეში უნდა დაათვალიეროს თავისი სკები: გახსნას თითოეული სკა, გამოწმინდოს კარგად და თუ მას დედა არა ჰყავს, რაიცა ხშირად მოხდება ხოლმე, მოეხმაროს. სკის უდედობა ადვილი შესატყობია: ამ დროს ყოველ სკაში უნდა იყოს კვერცხები და ბარტყები და თუ ესენი არ არიან, არც დედა ეყოლებათ. უდედობა გარედანაც შეიძლება შეატყოთ. მაშინ, როდესაც სხვა სკები გამალებული მუშაობენ და ბლომად მოაქვთ ოქებით ყვავილების მტვერი ბარტყებისათვის, უდედო სკიდან ზარბად, დალონებით გამოდიან ფუტკრები; საშოგარიდან ბრუნდებიან სულ უმტვეროდ, ფეხებით აჩაფერი მოაქვთ და სკის პირზე რაღაც აღელვება — მწუხარება ეტყობათ, აქეთ-იქით დაკოცავენ ვითომ რაღაცას ეძებენო. ეს ნამდვილი ნიშანია უდედობისა და მეფუტკრეც ამას ერთი შეხედვით შეატყობის.

ამ დროს თუ სკაში ფუტკარი ბლომად არის, მეფუტკრე ამოიღებს სხვა

სკიდან კვერცხებიან ან ახალ ბარტყებიან ბიან ფიჭას და ჩაჰკიდებს უდედო სკაში. ფუტკრები მაშინვე შემოეხვევიან გახარებულნი ამ ბარტყებიან ფიჭას და ღიღის სიხარულით დაუწყებენ კვებას. მეორე დღეს ხედავ, რომ ისინი სულ სხვანაირად, ერთგულად მუშაობენ. ერთ კვერცხს ან ახალ გამოტეხილ ბარტყებს ამოირჩევენ, გაუდიდებენ ბუდეს და დაუწყებენ საუკეთესო საჭმლის ძლევას: 14—15 ღიღის განმავლობაში გამოიყვანენ იქიდან დედას და სკაც აღარ დაიმსება. უკეთესია თუ მზა დედა ეშოვება მეფუტკრეს და შეუსვამს; მაგრამ დედის შესმასაც სიფრთხილე უნდა: რამდენიც უნდა შეუსვათ სხვა დედა ფუტკრები, მოკლავენ; ამისათვის საჭიროა, ახალი დედა პატარა გალიაში (საგანგებოდ გაკეთებულია რკინის მავთულისგან) ჩასვათ, თავი გალიას წმინდა სანთლით გადაუგლისოთ და ისე ჩაჰკიდოთ სკაში. ფუტკრები დაინახავენ თუ არა უკრთხო დედას, შემოეხვევიან და ცდილობენ მის მოკვლას; როდესაც თავის სურვილს ვერ შეასრულებენ, ცოტ-ცოტა შეეჩევენ და სამი ღიღის შემდეგ, იმდენად შერიგდებიან, რომ სცდილობენ უვნებლად გამოიყვანონ. გამოლირნიან სანთელს და ღიღის სიხარულით და ალერსით მიეგებებიან დატყვევებულ დედას, რომელიც გამოსვლისთანავე იწყებს კვერცხის დებას. სამი ღიღის შემდეგ, თუ ფუტკრებს გაუჭირდათ გამოჭრა სანთლისა, მეფუტკრესაც შეუძლიან თამამად გამოუშვას გალიიდან დედა. თუ ამისთანა სკაში ძალიან ცოტა ფუტკარია, სჯობია ის სხვას შეუერთოს, ან სულ დაამსოს, რაღაცაც გამოუცდე-

ლი მეფუტკრისათვის ძნელი გამოსაბრუნებელია ასეთი სკა.

თუ თავის ღროზე არ მიუხვდი უდედობას და ღროზე არ მიეშველე, რამდენიმე მუშა ფუტკრები დაიწყებენ კვერცხის დებას; ამ კვერცხებიდან არასოდეს მუშა ფუტკარი არ გამოვა, გამრავლდება მხოლოდ მამალი ფუტკარი. ამისთანა სკა ძნელი გამოსაბრუნებელია, თუმცა გამოცდილი მეფუტკრე ამასაც გამოაბრუნებს — ამ კვერცხის მდებელ ფუტკრებს მოაშორებს და დედას შეუსვამს. მე კი ჩემის მხრით გამოუცდელ მეფუტკრეს არ ვურჩევ მაზე ღროს დაკარგვას.

შეტყობა ამისთანა სკისა ძნელი არ არის: მუშა ფუტკრის და მამალი ფუტკრების გამოსაყვანი ფიჭები სხვადასხვა ნაირია. უკანასკნელებისა შესანიშნავად უფრო სრული და ფართეა; დედა ფუტკარი მამალი ფუტკრის კვერცხს არასოდეს არ ჩასდებს მუშა ფუტკრის გამოსაყვან უჯრაში და მუშა ფუტკრისას მამლისაში; კვერცხის მდებარე მუშა ფუტკარი კი განურჩევლად სდებს კვერცხს, სადაც და როგორც მოხვდება, მასთან თითო უჯრაში ორორ სამ-სამხან მეტ კვერცხსაც ჰყრის, მაშინ როდესაც დედა ფუტკარი ერთ უჯრაში არასოდეს ერთი კვერცხის მეტს არ ჩასდებს. რადგანაც მუშა ფუტკრის გამოსაყვან უჯრებში მამლების ბარტყები ვერ დაეტევიან, ამისათვის ამ უჯრებს თავი გამობერილი, უსწორ-მასწოროთ იქვთ გამოშენებული თვალისათვის უსიამოვნოთ.

ფუტკრის შექმნა

როდესაც ფუტკარი იყრის, ამ ღროს ორი ნაყარი იღვილად შეგვიძლიან შევაერთოთ: ერთ ნაყარს დედა უნდა მოაშოროთ და ისე მიემატოს მეორეს. დედის ნახვაც ამ ნაირად შეიძლება: გაშალეთ ზეწარი, მოაბნიეთ ზედ მთელი გუნლი, დედას უკველად დაინახავთ, დაიჭირეთ და მოაშორეთ, უდედო ფუტკრები მიხვევიან და შეუერთდებიან მეორე გუნლს, რომელიც იქვე უნდა იყოს\*).

თუ გინდათ ორი ძველი სკა შეაერთოთ, უსათუოდ ისინი შეერთების ღვერდი-გვერდზე უნდა იყვნენ მიღმულნი. თუ შორს არიან, ყოველ მეორე დღეს უნდა მისწიოთ ერთი-ერთმანეთისაკენ არა უმეტეს ერთის ალაბისა: როცა ერთმანეთთან მიიტანთ, ორი-სამი დღის შემდეგ იღლეთ ის სკა, რომელიც უნდა შეუერთოთ და მის აღგილზე დადგით ის, რომელსაც უნდა შეუერთოთ, მოაშორეთ თუ ჰყავს დედა პირველ სკას და გამორჩევთ იქიდან გარედ ფუტკრები; (თუ სკა ჩარჩოებიანია, ჩარჩოებს ამოიღებთ პირველი სკი-დან და გადაიტანთ მეორეში, დანარჩენ ფუტკარს კი გააცლით, თუ უბრალო კოდია, კომლით გამორჩევთ). ეს ფუტკრები ყველანი შევლენ მეორე სკაში. ცარიელი სკა, რომლიდანაც ფუტკარი გამორჩევთ, თვალიდან უნდა მოაშოროთ.

თუ ეს ღრო მუშაობის ღროა დაბევრი თაფლი შემოაქვთ, მაშინ უურაღლებასაც არ მიაქცევენ, ისე მიიღე-

\*) ახალ ნაყარს აერთებენ მაშინ, როდესაც გუნდი ისე ცოტა ფუტკრისაგან შესდგება, რომ მარტო ვერ იხეირებს.

ბენ სტუმრებს. თუ სხვა დროა, მაშინ კი ჩეუბს აუტეხენ და ულეტენ დაუპატიუებელ სტუმრებს. რომ ერთმანეთი არ დახოცონ და ჩეუბი შესწყვიტონ, საჭიროა უხრიოლოთ კომლი და ასხუროთ თაფლში არეული პიტნის წყალი<sup>\*)</sup> ორივე სკის ფუტკრები.

უმჯობესია კი ამ დროს არ შეა-ერთოთ ფუტკარი, რადგანაც ხშირად ჩეუბში დედასაც მოჰკლავენ ხოლმე. თუ არ მოიშლით და შეაერთებთ, დედა უნდა დაამწყვდიოთ გალიაში ერთორი დღე, მინამ ფუტკრები შერიგდებიან. სკის გადადგმა ერთი ადგილიდან მეორეზე შეიძლება მხოლოდ ზამთარში, როდესაც ფუტკარი არ გამოდის. სხვა დროს კი არ შეიძლება, რადგანაც გამოფრენილი ფუტკარი თავის ადგილზე, ესე იგი, სადაც დაჩვეულია, ბრუნდება და იმას აღარ მოშორდება. გადატანა შორს კი ყოველ დროს შეიძლება, თუ გადაიტანთ არა ნაკლებ სამი ვერსის სიშორეზე. აქედან ველარ მიაგნობს უწინდელ ბინას და რჩება ახალ ბინაზე.

### რა მანძილზე მიფრინავს ფუტკარი თაფლისთვის.

ფუტკარი მიფრინავს თაფლისთვის ორ-სამ ვერსზე. ეს იქნიდანა სჩანს, რომ თუ სკის სამი ვერსის სიშორეზე გადაიტან საფუტკრიდან, ფუტკარი აღარ ბრუნდება უკან—უწინდელ ადგილზე. თუ ერთი ან ნაკლები ვერსის სიშორეზე გადაიტანე, მაშინ კი ყველა ფუტკრები, უწინდელ ადგილზევე ბრუნდებიან და იქ ტრიალებენ, დაეძებენ თა-

ვიანთ სკას, სანამ სულს დალევენ არ ჩეუტენ მახლობელ სკას არ შეუერთდნენ.

როგორც გამოკვლეულია, შეიძლება ფუტკარი სამ ვერსზე შორსაც გაფრინდეს თაფლისათვის, თუ ახლო არ ეშოვება, მაგრამ ამ შემთხვევაში ძალიან ბევრი ფუტკარი იკარგება გზაზე. რაც უფრო ახლო აქვს ფუტკარს ღალა, ცხადია, სასარგებლოა, რადგან ბევრ თაფლსაც შემოიტანს და ფუტკარიც ცოტა დაკლდება.

### ფუტკრის მოვლა-მოშენება.

გამოცდილი მეფუტკრები, უბრალო კოდებიდან პირდაპირ გადაიყვანენ ხოლმე ფუტკარს ჩარჩოებიან სკაში. ამის შესახებ მთელი დარიგებები აქვთ შედგენილი სხვადასხვა მეფუტკრებს. მეც ბევრჯერ ვსინჯე ასეთი გადაყვანა ფუტკრისა. სანამდის შევეჩვეოდი, შევისწავლიდი, სარგებელზე ზარალი უფრო მეტი ვნახე და ამისათვის ახლა უფრო ვერიდები ფუტკრის ასეთ გადაყვანას ვიდრე წინეთ. ყველაზე უმჯობესია ფუტკარი მაშინ ჩასვან ჩარჩოიან სკაში, როდესაც ის ბუნებითად იყრის. ხელვნური ფუტკრის ყრასაც არავის ვუჩევ; ამით გამოუცდელი მეფუტკრე ბოლოს მოუღებს თავის ფუტკარს. ახლა გამოუცდელი მეფუტკრებიც დარწმუნდნენ, რომ ხელვნური ყრა სასარგებლო არ არის და არაფერი არ სჯობია ბუნებრივ ყრას. ჩასვა თუ არა სკაში ბუნებრივ ნაყარს, ერთის კვირის განმავლობაში იმდენს ფიჭას ჩამოიყვანს, რომ გაგაკვირვებს; ხელვნურად ნაყარი და ძალით გადაყვანილი კი დიდანს უნდება, რომ გამობრუნდეს, ან ხეირიანი მუშაობა გამართოს, რაც უნდა ღონიერი სკა იყოს. ხშირად მოხდე

\*) წყალში უნდა გახსნა თაფლი და ჩაურიობას ერთი ან ორი წევეთი პიტნის ზეთი.

ბა, რომ ძალად გაყრილი სკა სრულიად იღუპება.

როდესაც ახალი ნაყარი გყავს, საჭიროა გექმნეს ხელოვნური ფიჭა. ეს ფიჭა უნდა დასჭრა ორი თითის სიფართვზე და მიაკრა გამდნარი სანთლით თითეულ ჩარჩოზე, ზევით, თუ ყველაზე არა, როდენიმეზე მაინც, და ისე ჩაალაგო ეს ჩარჩოები სკაში; მოჰყარე ფუტკრის გუნდი და ჩაუშვი ასეთ სკაში. თუ ფუტკარი მაღალ ხეზე და სკის ატანა იქ ძნელია, მაშინ გუნდი შეგიძლიან ჩაჰყარო ტომარაში ან კალათაში, ჩამოიტანო ძირს და ჩაუშვა სკაში. ერთის ან ორი საათის განმავლობაში ხეზე დარჩენილი ფუტკრებიც მას შეუერთდებიან და სრულად შეიკრიბებიან სკაში. მერე მიხურე გამოსაფრენი კარები და გადაიტანე დანიშნულ ადგილზე. იმავე დღეს ახადე თავი ნელ-ნელა, დაუსწორე ჩარჩოები, რომ ერთმანეთზე არ იყვნენ მიხუტებული ან მეტად დაშორებული და დახურე. თუ ნაყარი ცოტა არის, ჩარჩოებიც ცოტა უნდა ჩაუდვა და ერთი ცალიერი გვერდიდან ფიცარი მიაფარო. როდესაც ამ ჩარჩოებს გაამსებენ ფიჭით, თანდათან უნდა უმატო ჩარჩოები და ფიცარსაც გამოსწიო; ბოლოს როდესაც სხვა ჩარჩოებიც გაიმსება, ფიცარი სულ უნდა ამოილო. თუ სკა ორ სართულიანია და ფუტკარმა მალე გაამსო ქვედა სართული (ასე შეათიბათვემდე მაინც), მაშინ უნდა აიღო ზემოდან დაფარებული ტილო და აუშვა ფუტკარი ზედა სართულში.

როდესაც ფუტკარს აუშვებ ზედა სართულში, ის ისე ადვილად არ გააკეთებს ფიჭებს, როგორც ქვედაში. მის მაგიერ რომ მან ჩარჩოს ზედა პირიდან

ფიჭა ქვეით ჩამოკიდოს, როგორც ფუტკარს და სართულში მოიქცა, ქვეიდან ზევით წაიყვანს და ერთმანეთს გადააბამს უსწორ-მასწოროდ. ასეთი ნაშენი ფიჭების ამოღება ძნელია.

ამისათვის აუშვებ თუ არა ფუტკარს ზედა სართულში, უნდა იტანო ქვედა სართულიდან ორი ან სამი ფიჭით გავსილი ბარტყებიანი ჩარჩო და ჩამოკიდო ზედა სართულში, ისე კი რომ დედა არ ააყოლო. მის მაგიერ ქვედა სართულში ცარიელ ჩარჩოებს ჩაუწყობ. ფუტკრები არ მიატოვებენ ბარტყებიან ფიჭებს, მაშინვე აპყვებიან მას და მათ გვერდითაც ისე ჩამოკიდებენ ცარიელ ჩარჩოებზე ფიჭას, როგორც ქვეიდან ატანილებზე არიან. თუ ხელოვნებითი ფიჭა არ გეშვება, ჩარჩოებს ზევით ფიჭის დასაწყის ადგილზე ფრთით გაუშვი გამდნარი სანთელი წვრილად, რომ კარგად აჩნდეს.

როდესაც სკას ამ ნაირად დააყენებთ, მოსავლის დროს სულ ადვილად შეგიძლიანთ ამოალავოთ თეთრი, წმინდა თაფლით. საესე ჩარჩოები, რომლიდანაც უბრალო შებერვითაც კი ადვილად მოაშორებთ ფუტკარს. ფუტკრის მოსაშორებლად მე ვხმარობ კვარის ბოლთან ერთად\*) რბილ ნოშის ან ბალახს. ამოღებული ჩარჩოებიდან გადარეკილი ფუტკარი ქვედა სართულში იკრიფება, მერე გადააფარებ ტილოს და დაახურავ თავს. სანამდის ძალიან აცივდება ტილოს ზევიდან უნდა დააყაროთ ბზე ან თივა სითბოსათვის და გამოსაფრენი დაუპატაროთ. თუ ქვედა სართულშიაც იმდენი თაფლი გეგულება,

\*) კომლი ფუტკარს ძალიან ეჯაგრება და როგორც მოხდება გაუჩბის; ის იმდენად აბრუებს მას, რომ ვეღარ იკანინება.

რომ ფუტკარს არ დასჭირდება საზამთ-  
როდ, იქიდანაც მოაკლებ ერთს ან  
ორ ჩარჩოს და მის მაგიერ ცარიელ  
ფიქიან ჩარჩოებს ჩაულავებ. ზედა სარ-  
თულში და ქვედა სართულის ნაპირი  
ჩარჩოებში ყოველთვის თეთრი წმინდა  
ფიქა და თაფლი არის, რადგან დედა  
ფუტკარი ძვირად ადის ზედა სართულში  
და ნაპირი ფიქებშიაც არ უყვარს კვერ-  
ცხის დება; იგი სცხოვრობს და სდებს  
კვერცხებს უფრო ქვედა სართულში და  
მასთან შეუა ჩარჩოებზე.

ნაბარტყი ფიქა ჯერ მიხაკის ფერს  
იღებს და შემდეგ სულ შავდება. კვერ-  
ცხების ჩასადები პატარა უჯრები, რამ-  
დენადაც ბევრჯელ გამოიყვანენ ფუტ-  
კარს, იმდენად უფრო წვრილდებიან,  
კედლები უსქელდებათ და ოთხი-ხუთი  
წლის შემდეგ უვარესანი ხდებიან ბარ-  
ტყებისათვის.

თუ ეს ფიქა ხუთი წლის განმავლო-  
ბაში მაინც არ გამოიცვალა, არ გაახლ-  
და, ფუტკარი დაწვრილდება, გადა-  
გვარდება, გადამახინჯდება და შემდეგ  
სულ დაიმსება. ამისათვის საჭიროა ძვე-

ლი ფიქების გამოცვლა. ქვედა სართულ-  
იდან ფიქების ზევით ატანის ღროს  
ან ქვედა სართულიდანვე თაფლის ამო-  
ლების ღროს, მეფუტკრეს უნდა ახსოვ-  
დეს, რომ ყოველთვის ზედა სართულში  
აიტანის ძველი ფიქა, ქვედა სართულ-  
ში კი ძველი ფიქა ნაპირებზე მოექციოს  
და შუაზე ცალიერი ჩარჩოები ჩაიდვას.  
ასე ყოველ წელიწადს რომ ორ-ორი  
ძველი ფიქიანი ჩარჩო აიტანოთ მაღლა  
და ერთიც ნაპირის გამოსწიოს, სკაში  
არას ღროს აღარ იქნება ძველი, ოთხი-  
ხუთი წლის ფიქა და ფუტკარიც კარ-  
გად იმრავლებს და გაუმჯობესდება.  
თუ სკა ორ სართულიანი არ არის,  
მაშინ თაფლის ამოლების ღროს უნდა  
დაიკავოს ამნიორი რიგი: ქვედა სარ-  
თულიდან ზედა სართულში, მაღაზია-  
ში, ჩარჩოების ატანა მხოლოდ მაშინ  
არის შესაძლებელი, თუ ორივე სარ-  
თულში ერთი ზომის ჩარჩოებია, რო-  
გორც ეს არის „ანგლ-ამერიკულ სის-  
ტემის სკებზი“.

ყ. ჩხეიძე

(შემდეგი იქნება)

## აბრეშუმის პარკის და ძაფის ფასები

აბრეშუმის პარკისა, ძაფისა და ქსო-  
ვილების ფასები მსოფლიო ბაზარზე  
კვლავ სდეუმს; თუმცა ამ ღროს (მკა-  
თათვეს და აგვისტოს) ბაზრის სიჩუმე  
ჩვეულებრივია, მაგრამ წელს საზოგა-  
დოდ თითქმის უმეტეს სააბრეშუმეო  
ქვეყნებში ბაზრის არა ჩვეულებრივი  
სიჩუმეა. მიუხედავად იმისა, რომ წელს  
საზოგადოდ აბრეშუმის ნაკლები მო-  
სავალია ევროპასა და მცირე აზიაში  
და მექანიზებსაც ცოტა მასალა აქვთ

ძაფისა, ფასები მაინც არ მატულობს.  
მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჩვენის აზ-  
რით ის გარემოება, რომ ამ უკანასკ-  
ნელ წლებში ევროპის ბაზარმა დაკარ-  
გა იმისთანა მუშტარი აბრეშუმის ძა-  
ფისა, როგორიცაა ამერიკის შეერთე-  
ბული შტატები: ეს ქვეყანა ყოველ  
წლივ ჰყიდულობს თავის ქარხნებისა-  
თვის 20—23 მილიონ გირვანქა ძაფს  
ევროპიდან, ჩინეთ-იაპონიიდან და სხვა  
სააბრეშუმეო ქვეყნებიდან. ამ სამი

წლის წინედ ამერიკაში იყიდა ევროპაში დამზადებული ძაფი 5 მილიონი გირვანქა, შარშან 3 მილიონი და წელს კი 2 მილიონი. მაშინ, როდესაც იაპონიაში დამზადებული იყიდა სამი წლის წინად 12 მილიონი, წელს კი—14 მილიონი გირვანქა, ესე იგი, ევროპაში დაჭირებული 2—3 მილიონი გირვანქა ძაფის მუშტარი—ამერიკა, რომელიც ამ უკანასკნელ წელს უფრო იაპონიის ძაფს ეტანება. ამ გარემოებამ რასაკვირველია შესამჩნევად იმოქმედა ევროპის ბაზარზე და ფრანგ იტალიელი მექარნეები საფიქრობელში ჩაბგდო. თუმცა ამ უკანასკნელ თვეში ძაფის ამომხვეველ ქარხნებმა შეამცირეს წარმოება, მაგრამ პარკის ფასები არ დაწეულია, რადგანაც მეპარკეებს, როგორც ჩვენში ისე უცხოეთში დიდ ფასებში აქვთ ნაყიდი ნედლი პარკი და არსებულ ფასებზე (9 ფრან. 30 სან.—9 ფრან. 50 სანტიმეტ.) ნაკლებ რომ გაპყიდონ, იზარალებენ. ამისათვის უცხოელი მეპარკეები ძლიერ მაგრად ადგანან ზემო პლიტიშულ ფასებს და მართლაც ეს მესამე თვე თავდება, რომ ფასები შეუცვლელად არის—9 ფრან. 20 სანტ.—9 ფრ. 50 სანტ. კილო ხმე-

ლი პარკი ან ფუთი 55—57 ვენეციაში მილანში და მარსელში. საც. შეეხება პარკის და ძაფის ფასებს ჩვენში ან რუსეთის სხვა სააბრეშუმეო მხარეში—ნუხა-შუშაში, ბუხარაში, მოსკოვში და სხვაგან ჯერჯერობით პარკის (ხმელი) ფასი თუმცა არ გატეხილა, მაგრამ როგორც ნუხიდან გვატყობინებენ ფუთი ქუთათური პარკი 48—50 მანეთამდე უნდა იქმნეს. საზოგადოდ რუსეთის ბაზრის (მოსკოვი, ნუხა, ბათომი) მდგრადი მარეობა არ გვიჩვენებს ფასების დაცემის საშიშ ნიშნებს,— მაგალითად მოსკოვში ფუთი ძაფი ამჟამად იყიდება 278—295 მანეთად.

ცუდი ამინდების გამო წელს პარკი რიგინად ვერა ხმება, განსაკუთრებით სამეგრელოში, სადაც გაუჩნდა პარკები და ბევრი ზარალი მისცა მეპარკეებს. საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიეჭცეს წელს პარკის რიგინან გახმობას და გარჩევას, თორემ, თუ საჭირო შეიქმნა პარკის უცხოეთში გაგზავნა და გასაღება, (რაც ადგილი შესაძლებელია), უვარგისი, სველი პარკი საზარალო იქნება.

#### ი. ქუთათელაძე

### მოსალის რიდაშიაში ისტორია მემდები მსრთული წიგნები:

ვ. ი. რცხილაძე კრებული არითეტიკული ამოცანებისა (შეორენაში)	50 კ.
იმისივე (თარგმანი) ქიმია პ. როსკოსი (შეორეგამოცემა)	30 კ.
იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდან და შვეიცარიის ძირითადი კანონები	25 კ.
იმისივე ბაზბის თესვა-მოყვანა (თარგმანი)	5 კ.
ვ. გულბათიშვილი—იონჯა	5 კ.
ვ. ნახუცრიშვილი — კარტოფილი	5 კ.